



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

### დისციპლინური საქმე №165/17

-- -- 2017 წლის 18 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №165/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

### 1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- --, 2017 წლის 18 სექტემბრის საჩივარში აღნიშნა, რომ -- საქალაქო სასამართლომ, ასევე -- სააპელაციო სასამართლომ, ხოლო შემდგომში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ განიხილეს საქმე და არ მიიღეს გადაწყვეტილება მის სარჩელთან დაკავშირებით. ასევე არ არის გაუქმებული იჯარის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს დავის საგანს. საჩივრის ავტორი დამატებით წარმოდგენილ განცხადებაში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე, რომელიც -- უნივერსიტეტში ეწევა შრომით საქმიანობას, არის ლექტორი და იღებს შესაბამის ანაზღაურებას, ვერ იქნება მიუკერძოებელი სასამართლოში არსებული დავების

განხილვისას.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2017 წლის 1 მარტს, -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის - -- --, ხელშეკრულების უვალოდ გაგრძელებულად აღიარების მოთხოვნით.

2017 წლის 6 მარტის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რომელიც გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

2017 წლის 26 ივნისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე (განჩინება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული).

2017 წლის 30 ივნისს, -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

2017 წლის 3 ივლისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე, რომელიც კერძო საჩივრით გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2017 წლის 31 ივლისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 3 ივლისის განჩინება.

## **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის

საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, „კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით“. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამდენად, მოსამართლე 2017 წლის 31 ივლისის განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და კერძო საჩივრის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, ვინაიდან, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საჩივარი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე რომელიც -- უნივერსიტეტში ეწევა შრომით საქმიანობას და იღებს ხელფასს, ბუნებრივია დაიცავს კონკრეტული უნივერსიტეტის ინტერესებს, რაც მის ობიექტურობას ეჭვქვეშ დააყენებს. განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ვერ გახდება შეფასების საგანი, ვინაიდან, -- უნივერსიტეტი კონკრეტული დავის მხარეს არ წარმოადგენდა.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობით), მიიჩნია, რომ მოსამართლე - -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №164/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი